06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა	1,177.4	516.4	661.0	906.0	14.3	891.7
	ხარჯები	1,177.4	516.4	661.0	903.5	14.3	889.2
	სუბსიდიები	70.0	0.0	70.0	69.3	0.0	69.3
	სოციალური უზრუნველყოფა	349.8	0.0	349.8	347.0	0.0	347.0
	სხვა ხარჯები	757.6	516.4	241.1	487.2	14.3	472.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	2.5	0.0	2.5
	ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0	2.5	0.0	2.5
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	70.0	0.0	70.0	71.8	0.0	71.8
	ხარჯები	70.0	0.0	70.0	69.3	0.0	69.3
	სუბსიდიები	70.0	0.0	70.0	69.3		69.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	2.5	0.0	2.5
	ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0	2.5	0.0	2.5
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	182.0	0.0	182.0	182.0	0.0	182.0
	ხარჯები	182.0	0.0	182.0	182.0	0.0	182.0
	სოციალური უზრუნველყოფა	182.0	0.0	182.0	182.0	0.0	182.0

06 02 01	ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	35.5	0.0	35.5	40.0	0.0	40.0
	ხარჯები	35.5	0.0	35.5	40.0	0.0	40.0
	სოციალური უზრუნველყოფა	35.5	0.0	35.5	40.0	0.0	40.0
06 02 02	მძიმე კატეგორიის ავადმყოფების სოციალური დაცვა	135.7	0.0	135.7	132.0	0.0	132.0
	ხარჯები	135.7	0.0	135.7	132.0	0.0	132.0
	სოციალური უზრუნველყოფა	135.7	0.0	135.7	132.0	0.0	132.0
06 02 03	ვეტერანთა (ხანდაზმულთა) სოციალური დაცვა	10.9	0.0	10.9	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	10.9	0.0	10.9	10.0	0.0	10.0
	სოციალური უზრუნველყოფა	10.9	0.0	10.9	10.0	0.0	10.0
06 03	მესტიის მუნიციპალიტეტის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	167.8	0.0	167.8	165.0	0.0	165.0
	ხარჯები	167.8	0.0	167.8	165.0	0.0	165.0
	სოციალური უზრუნველყოფა	167.8	0.0	167.8	165.0	0.0	165.0
06 04	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	757.6	516.4	241.1	487.2	14.3	472.9
	ხარჯები	757.6	516.4	241.1	487.2	14.3	472.9
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	757.6	516.4	241.1	487.2	14.3	472.9

თავი III.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

თვითმმართველი ერთეული მესტიის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართულმა სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, რითაც თავის მხრივ უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში

მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, კულტურის დასვენებისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2019 -2022 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და განათლების ხელშეწყობას.

მესტიის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და
- ექსპლოატაცია; განათლება; კულტურა, რელიგია
- ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება მმართველობითი სფეროს ფუნქციის ერთ ერთი მთავრი ფაქტორია მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვა, რასაც ახორციელებს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება.

დასახელება	2017	2018	2019	2020	2021	2022
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	3,053.0	2,142.6	4,279,1	4,093.8	3,863.7	3,636.1
მუნიციპალიტეტის საკრებულო	622.8	435.3	724.5	771.0	793.0	818.0
მუნიციპალიტეტის მერია	2,088.0	1,445.8	2,378,8	2,161.8	2,283.8	2,361.2
სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	160.0	160.0	285.9	300.0
მგფ და სხვა ვალდებულების დაფარვა	342.2	261.6	1,014,8	1,000.0	500.0	155.9
სასამართლოების და კვაზი-სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით დაკისრებული დავალიანების ფონდი	0.0	0.0	1.0	1.0	1.0	1.0

სასესხო ვალდებულებების დაფარვის პროგრამა 01 03

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სასესხო ვალდებულებების დადგენილ ვადებში დაფარვა, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებული სესხის დაფარვა თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 02 00

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

	2017	2018	2019	2020	2021	2022
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	60.0	42.9	60.0	64,7	64.8	64.9
საგანგებო სიტუაციების მართვა	0.0	0.0		0.0	0.0	0.0
ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	60.0	42.8	60.0	64,7	64.8	64.9

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლება, მესტიის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის

კოორდინაცია; • საქართველოს სამხედრო ძალების ჯანმრთელი ახალგაზრდა

თაობით უზრუნველყოფა; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა,

რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (როგორცაა გზების, გარე განათების, წყლის სისტემების და სხვა) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას რაც წინა პირობაა ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების განვითარების.

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია და საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების, საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, დაფინანსება და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, სკვერების, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, ჩატარდება ნაპირსამაგრი სამუშაოები, მოეწყობა სპორტული მოედნები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება;
 - ავტო-საგზაო შემთხვევათა პრევენცია;
 - ახალი გარე განათების მოწყობა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება;
 - მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის
 - ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება;
 - მუნიციპალიტეტის დასუფთავების და ნარჩენების გატანის
 - ინტენსიურობის მაჩვენებელი; მოსახლეობისთვის საცხოვრებელი
 - პირობების გაუმჯობესება; იმიგრაციის შემცირება;
- მოსახლეობისთვის წყლის მიწოდების უზრუნველყოფა;

ორგ.კოდი	დასახელება	2017 წლის დეკემბრის ფაქტი	2018 წლის 9-თვის ფაქტი	2019 წლის პროექტი	2020წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6,616.9	3,674.7	9,248,0	2,140.0	2,050.0	2,190.0
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები)	1,252.4	1,722.6	3,455,6	490.0	520.0	420.0
03 01 01	მესტიის მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია	1,252.4	1,722.6	3,455,6	490.0	520.0	420.0
03 01 02	მესტიის მუნიციპალიტეტში საბაგირო გზის მშენებლობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,112.2	683.4	1,908,5	1,080.0	1,130.0	1,250.0
03 02 01	ა(ა)იპმესტიის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური	168.1	121.8	150.0	180.0	210.0	220.0
03 02 02	ა(ა)იპ მესტია დასუფთავება	505.7	551.2	911,7	550.0	620.0	700.0
03 02 03	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	438.4	10.4	356,8	0.0	0.0	0.0
03 03	მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	2,801.8	812.4	3,067,8	570.0	400.0	520.0
03 04	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა რეაბილიტაცია	1,110.1	421.0	799,8	0.0	0.0	0.0
03 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	340.4	35.4	7,0	0.0	0.0	0.0

03 06	რეგიონული განვითარების ფონდის თანადაფინანსება	0.0	0.0	500,0	0.0	0.0	0.0
-------	---	-----	-----	-------	-----	-----	-----

მუნიციპალიტეტის გზების და ხიდების რეაბილიტაცია

(პროგრამული კოდი 03 01 01)

პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია. დაგეგმილია დ მესტიისში შემდეგი ქუჩების რეაბილიტაცია: ავთანდილ ხერგიანის ქუჩა, ერეკლე ფარჯიანის 1 და 2 ჩიხი,მაქსიმე გვარლიანის ქუჩა,ნუგზარ ჯაფარიძის ქუჩა,ჯონდო ხაფთანის ქუჩა,ბეთლემის ჩიხი,დ.აღმაშენებლის ჩიხი,ილიკო გაბლიანის ქუჩის მონაკვეთის რეაბილიტაცია,ბექნუ ხერგიანის ქუჩის რეაბილიტაცია, სოფ. კალის ტერიტორიული ერთეული: სოფელ ვიჩნაშის და დაუბერის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ხიდის მშენებლობა, სოფ ხალდეს გზის რეაბილიტაცია,სოფ. უშგულში ჩაჟაშში მდინარეზე სამარხილე ხის ხიდის მოწყობა.

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა

(პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე-განათების ქსელის გაფართოება. არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მესტიის მუნიციპალიტეტის დასუფთავების ღონისძიება, ასევე წყლის სისტემისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია ექსპლოატაციის ღონისძიებები

გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

(პროგრამული კოდი 03 02 01)

მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარეგანათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, ასევე სოფლის ცენტრებში ახალი განათების ბოძების მოწყობა. დასუფთავება და კეთილმოწყობა (ორგანიზაციის კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამა თანხვედრაშია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2019-2022 წლის დოკუმენტში მოცემულ სტრატეგიასთან. ჩვენი მიზანია ყველა გადაწყვეტილების, მათ შორის, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობასთან ერთად, ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას როდორცაა გარემოს დასუფთავება, ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებას, უნარჩენო წარმოების ხელშეწყობა დასხვა.

აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში საქმიანობას წარმართავს ა.ა.იპ „დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“, ორგანიზაციას დაგეგმილი აქვს მესტიის ცენტრში არსებული პარკის მოვლა პატრონობა და საბავშვო გასართობი ატრაქციონების მოწყობა, თამარ მეფის ქუჩაზე ლიბერთი ბანკის მიმდებარედ არსებული სკვერის გალამაზება და განახლება, საზოგადოებრივი საპირფარეშოს აშენება, ბორდიურების განახლება. მოსალოდნელი შედეგი:

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის

გაუმჯობესება; დასუფთავების მუნიციპალური სერვისის

გამართული ფუნქციონირება; კეთილმოწყობილი

დასასვენებელი პარკების არსებობა; წყლის სისტემის

რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია(03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყლის სისტემების რეაბილიტაცია, დაგეგმილია უშგულის თემში შემავალი სოფლების საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა და ბეჩოს თემშიშემავალი სოფლების საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების, სპორტდარბაზების რეაბილიტაცია, დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავის სარეაბილიტაციაში დახმარების გაწევა მოსახლეობისთვის.

დაგეგმილია: სოფ ცხუმარის ბაღის მშენებლობა, სოფ. ლატალის ბაღის რეაბილიტაცია, ივარის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, სოფ. ეცერისა და ხაიშის ხელოვნური საფარის მოწყობა, ფარი, ნაკრა ,ხაიში, ლენჯერის სპორტდარბაზების რეაბილიტაცია, მულახის მრავალფუნქციური შენობის რეაბილიტაცია , მუზეუმის რეაბილიტაცია, ხაიშის სპორტდარბაზის რეაბილიტაცია, ბიბლიოთეკის რემონტი, კახა ფალიანის სახელობის შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება.

სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია

(პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სანიაღვრე-სარწყავი არხების და მდინარის ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა რეაბილიტაცია. იგეგმება ცხუმარის, ლატალის და ეცერი ებუთის ნაპირსამაგრი არხის მშენებლობა, სოფ. უშგულში ჩვიბიანიშის მდინარეზე ნაპირსამაგრი გაბიონის მშენებლობა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის(ორგანიზაციული კოდი 03 05)

აღნიშნული პროგრამით ხორციელდება სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით დაგეგმილი პროექტები, პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ბეჩოს თემის სოფ ტყეებში და ნაშთქოლში მდინარე დოღრაზე სამეურნეო ხიდის მშენებლობა;

რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განსახორციელებელი პროექტების

თანადაფინანსება(პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განხორციელებული პროექტების თანადაფინანსება.

განათლება (ორგანიზაციის კოდი 04 00)

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- სრულყოფილი მომავალი თაობის აღზრდა. სკოლამდელი დაწესებულების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; გაუმჯობესდება საბავშვო ბაღებში განათლების მიღების დონე და პირობები.

ორგ.კოდი	დასახელება	2017 წლის დეკემბრის ფაქტი	2018 წლის დაზუსტებული ბეჭმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	780.7	708.6	1,035,0	1000,0	1,010,0	1,050,0
04 01	ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება	709.7	685.0	1,035,0	1000.0	1,010.0	1,050.0
04 03	ა(ა)იპ მესტის სმუნიციპალიტეტის სახელოვნობოსაგანმანათლებლო ხელოვნებისსკოლა	71.0	23.6		0.0	0.0	0.0

სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01) მუნიციპალიტეტში ამ

ეტაპზე ფუნქციონირებს 23 ბაღი, სადაც განათლებას იღებს 502 ბავშვი.იგეგმება ორი საბავშვო

ბაღის გახსნა. ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების

ფუნქციონირებისათვის ყველა ხარჯს, მათ შორის: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის ხელფასებს, ბავშვების კვების და სხვა მიმდინარე ხარჯებს.

აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიების განვითარება, პროფესიაში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული სტანდარტების შესაბამისად,

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

(პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი ისე ფიზიკური თვასაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, შესაბამისად მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ამაღლება მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების სპორტულ სფეროში ჩართულობის დონე.
- ზოგადად კულტურისა და კულტურის დარგების შენარჩუნების, დაცვისა და განვითარების ხელსაყრელი პირობების შექმნა. თეატრის, მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი გამოყენებითი ხელოვნების, ხალხური რეწვის დარგების პროპაგანდა-პოპულიზაცია. მოზარდი თაობის მკითხველთა კონტიგენტის გაფართოება. მოსწავლე-ახალგაზრდობის ცოდნის დონის ამაღლება. წიგნიერების პოპულარიზაცია

ორგ.კოდი	დასახელება	2017 წლის დეკემბრის ფაქტი	2018 წლის 9- თვის ფაქტი	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1,268.1	1,012.2	1,710,0	1,454,9	1,780.0	1,890.0

05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	599.7	438.6	656,0	650.0	700.0	750.0
05 01 01	ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტი სპორტული ცენტრი	599.7	438.6	656,0	650.0	700.0	750.0
05 01 03	მულახის სპორტული სკოლა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 01 04	ლატალის სპორტულის კოლა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 01 05	ივარის სპორტულის კოლა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 01 06	მესტიის სპორტულის კოლა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	449.2	383.3	0	569,9	740.0	750.0
05 02 01	ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახური	351.9	119.3	0.0	0.0	0.0	0.0
05 06	აიპ“მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი“	0.0	0.0	618,0	0.0	0.0	0.0
05 02 03	სამხატვროსკოლის დაფინანსება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 04	ა(ა)იპ მესტიის მთავარი ბიბლიოთეკა	79.0	60.5	78,3	85.0	90.0	100.0
05 02 05	ა(ა)იპ მხატვარძემბ-ირაკლი, მარატ და გოვენ ფარჯიანების თანამედროვე ხელოვნების მემორიალური სახლ-მუზეუმი	18.3	13.5	0.0	0.0	0.0	0.0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	117.7	129.3	145,0	135.0	220.0	240.0
05 04	ა(ა)იპ ლეო ფილფანის სახ. სახალხო და ფოლკლორის თეატრი	23.5	7.8	0.0	0.0	0.0	0.0
05 05	ა(ა)იპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დაფინანსება	78.0	53.2	212,7	100.0	120.0	150.0

ა(ა)იპ“ სპორტული სკოლების გაერთიანება“ (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სკოლების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები ემსახურება ახალგაზრობის მაქსიმალურ ჩართვას სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ახალგაზრდებისათვის სპორტული გამაჯანსაღებელი პირობების შექმნას.

პროგრამის ფარგლებში იგეგმება შემდეგი ტურნირების ჩატარება:

- მუხრან შუკვანის სახელობის
- ტურნირი; მიხეილ ხერგიანის სახელობის ტურნირი.

ა.ა.იპ" მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი

(პროგრამული კოდი 05 06)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში ფინანსდება კულტურის ცენტრი მასში შემავალი ხუთი კულტურის სახლი, ორი სასოფლო კლუბი, ახალგაზრდული ცენტრი „ბეთქილი“, ორი სახელობითი მუზეუმი, სამი ფოლკლორული ანსამბლი: „რიჰო“, „ლატალი“, ახალგაზრდული ფოლკლორული ჯგუფი „ბეთქილი“.

ქვეპროგრამის მიზანია პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედების განვითარება, ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნა. ხელოვნების სკოლის ამოცანაა პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება, ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნა;

აიპი განახორციელებს: თეატრალური წარმოდგენებს, სხვადასხვა ხელოვნების დარგების სწავლებას (საფორტეპიანოს,) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და ფოლკლორის სწავლებას).

ორგანიზაცია გეგმავს შემდეგი ღონისძიებების ჩატარებას: საახალწლო ღონისძიება, 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის დღისთვის მიძღვნილი ღონისძიება, 3 მარტს დედის დღისთვის მიძღვნილი ღონისძიება, „სვანეთობა“, ბიბლიოთეკების დაფინანსება

(პროგრამული კოდი 05 02 04)

ბიბლიოთეკების დაფინანსება მიზნად ისახავს მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილებას მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით უზრუნველყოფას. ხელსაყრელი პირობების შექმნა პიროვნების შემოქმედებითი განვითარებას. მოსახლეობის ყველა ფენის მომსახურებას. საბავშვო ან მასობრივ ბიბლიოთეკებში ფონდების შექმნის მიზნით კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებების მიოწყობა. მომდევნო წლებში დაგეგმილია: კეთილმოწყობილი სამკითხველო დარბაზის გაკეთება, რაც მკითხველის მოზიდვას გამოიწვევს, საცავის რეაბილიტაცია, სადაც განლაგებულია ფონდი. ახალი ბეჭდური პროდუქციის შექმნა. მთავარი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ელექტრონულ ფორმატზე გადასვლა. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (05 03)

პროგრამა უზრუნველყოფს: ახალგაზრდების განათლების დონის ამაღლებას შემეცნებით-ინტელექტუალური კონკურსებში მონაწილეობით, სტუდენტების განათლების მიღების ხელშეწყობას პირველკურსელთა სწავლის თანადაფინანსებით, ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობას გასართობი სახალისო სპორტულ თამაშებში, ამ მიზნით ტარდება ღონისძიებები,

მათ შორის: არქიტექტორთა სემინარი შეჯიბრი,სასკოლო ოლიმპიადა, კონკურსი „ინტელექტი“, ახალგაზრდულ ბანაკებში ახალგაზრდების ჩართვა, ეტალონი-მედია, სიცოცხლის ფესტივალი.

აღნიშნული პროგრამა ემსახურება ახალგაზრდა თაობის მრავალ მხრივ განათლებას და ზოგადი უნარების ჩამოყალიბებას.

ა.ა.იპ“ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დაფინანსება(05 05)

აღნიშნული ქვეპროგრამა ემსახურება კულტურული ძეგლების აღრიცხვას და რეაბილიტაციას, რაც ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას.

ჯანდაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები, რომელიც გაგრძელდება ჯანდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ეროვნული რეკომენდაციის შესაბამისად.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (ორგანიზაციული კოდი 06

00) პროგრამის მიზანია:

მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვა ვაქცინაციით მართვადი ინფექციებისაგან, მოსახლეობის დაცვა ანტირაბიული ვაქცინითა და იმუნოგლობულინით, ასევე სტრატეგიული ვაქცინებისა და შრატების ადგილობრივი სტრატეგიული მარაგის შექმნას. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს: იმუნოზაციის განსახორციელებლად ვაქცინების, ანტირაბიული სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებების, სპეციფიკური შრატებისა და ასაცრელი მასალის მიღებას, შენახვას, გაცემა-განაწილებას.

ორგ.კოდი	დასახელება	2017 წლის დეკემბრის ფაქტი	2018 წლის 9-თვის ფაქტი	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	422.0	395.7	906,0	443.0	566.0	624.0
06 01	ა(ა)იპ მესტიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	65.2	53.2	71,8	69.0	75.0	80.0
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	92.0	141.1	182.0	157.0	176.0	194.0

06 02 01	ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	2.4	23.7	40,0	7.0	9.0	10.0
06 02 02	მძიმე კატეგორიის ავადმყოფების სოციალური დაცვა	77.9	109.5	132.0	140.0	155.0	170.0
06 02 03	ვეტერანთა (ხანდაზმულთა) სოციალური დაცვა	11.7	8.0	10.0	10.0	12.0	14.0
06 03	მესტიის მუნიციპალიტეტის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	177.3	140.7	165.0	160.0	170.0	190.0
06 04	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	87.5	60.7	487,2	57.0	145.0	160.0

ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა

(პროგრამული კოდი- 06 02 01)

1. პროგრამის სახელწოდება: ბავშვთა და შშმ. პირთა სოციალური დაცვა , რომელშიც შედის -

ახალშობილების , მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების/ ბავშვების, მრავალშვილიანი და მარჩენალდაკარგული ოჯახების (რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის შვილები) ერთჯერადი (ფულადი) დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზნები:

აღნიშნული პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები და რეგისტრირებული ახალშობილებისთვის საჩუქრის სახით, ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა მუნიციპალიტეტში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის და ბავშვებისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის, გაუმჯობესების მიზნით ერთჯერადი ფულადი დახმარება, მარჩენალდაკარგული და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებისა და ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, მათთვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების და წახალისების მიზნით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა. პროგრამის შედეგები:

პროგრამის განხორციელების შედეგად, გარკვეულწილად გაუმჯობესდება ახალშობილის ოჯახის, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და ბავშვების მარჩენალდაკარგული და მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, მძიმე კატეგორიის ავადმყოფების სოციალური დაცვა პროგრამის კოდი (06 02 02)

აღნიშნული პროგრამით ხორციელდება მძიმე კატეგორიის ავადმყოფების სოციალური დაცვა - რომელშიც შედის: სოციალურად დაუცველის ან იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის სტატუსის მქონე მძიმე ავადმყოფების (მათ შორის შშმ.პირის) დიაგნოსტიკის,

მკურნალობის, ან სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ პაციენტისათვის ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების თანადაფინანსება / დახმარება .

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ან რეგისტრირებული სოციალურად დაუცველის სტატუსის ან იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის სტატუსის მქონე მძიმე ავადმყოფების დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკისან სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ პაციენტისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების თანადაფინანსება, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა N100 -ისა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის (ინვოისის) მიხედვით. მოსალოდნელი შედეგი:

. მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან იძულებით გადაადგილებული პირის - (დევნილი), მძიმე ავადმყოფის, დაბალშემოსავლიანი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე გარკვეულწილად დაეხმარება მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში, მედიკამენტების შეძენასა და შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიღებაში.

ვეტერანთა და ხანდაზმულთა სოციალური დაცვა(პროგრამული კოდი 06 02

03) პროგრამის სახელწოდება

აღნიშნული პროგრამის მიზანია სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანების, „ვეტერანების დღის“ (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად – საჩუქრის სახით, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების გაწევა. ომის მონაწილე და ომის მონაწილეებთან

გათანაბრებულ ვეტერანებზე და მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები 90 წელს გადაცილებული მოქალაქეებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა.

პროგრამის შედეგები:

თითოეულ დაღუპულ ომის მონაწილე ვეტერანსა და იძულებით გადაადგილებულ პირზე სარიტუალო მომსახურების გაწევა - 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უხუცესებზე (90 და მეტი წლის ასაკის) ერთჯერადი დახმარების გაწევა – 150 (ასი) ლარის ოდენობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერნების, „ვეტერანების დღის“ (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად – საჩუქრის სახით, ერთჯერადი დახმარება. მესტიის რაიონის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა(პროგრამული კოდი 06 03)

პროგრამის სახელწოდება: მესტიის რაიონის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ან რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთჯერადი ფულადი დახმარება, რომელშიც შედის შემდეგი კატეგორიები: ონკოლოგიური, დიალიზით მოსარგებლე, ფსიქიურად და ცერებრალური დამბლით დაავადებული პირები და მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფი ან ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე ავადმყოფთა ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება, სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გეგმიური ენდოსკოპიური გამოკვლევის დაფინანსება, მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ C ჰეპატიტით დაავადებულთა გამოკვლევის დაფინანსება, მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ 0 დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი ბავშვების ფარისებრი ჯირკვლის (პათოლოგიათა ადრეული გამოვლენის მიზნით) გამოკვლევების თანადაფინანსება .

კომუნალური სუბსიდირების პროგრამა - დ. მესტიაში რეგისტრირებული წყლის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კომუნალური სუბსიდირება, რაც მოიცავს დ. მესტიაში რეგისტრირებული წყლის გადასახადის აქტიური, საყოფაცხოვრებო მომხმარებლების/ აბონენტების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დ. მესტიაში რეგისტრირებულ ოჯახების, რომლებიც ბენეფიტის დარიცხვის თვის წინა ერთი თვის განმავლობაში უწყვეტად ინარჩუნებენ 65 001 სარეიტინგო ქულას, ყოველთვიური კომუნალური გადასახადის (წყლის გადასახადის) დაფინანსება. მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება პროგრამაში მონაწილე ონკოლოგიური, დიალიზით მოსარგებლე, ფსიქიურად და ცერებრალური დამბლით დაავადებული პირებსა და მოსახლეობას, მათ შორის სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ და ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე ავადმყოფებს რომლებსაც დაუფინანსდათ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, გარკვეულწილად დაეხმარება მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. ონკოლოგიური ავადმყოფების და დიალიზით მოსარგებლე პირების შემთხვევაში ავადმყოფებს შეუმსუბუქებს ფინანსურ პრობლემებს, რადგან ხშირად სამგზავრო თანხის უქონლობის გამო ვერ ახერხებენ თბილისში გამგზავრებას სამედიცინო მომსახურების მისაღებად.

8 . პროგრამის შედეგები:

პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება პროგრამაში მონაწილე ონკოლოგიური, დიალიზით მოსარგებლე , ფსიქიურად და ცერებრალური დამბლით დაავადებული პირების, სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფი და ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე ავადმყოფების, C ჰეპატიტით დაავადებულების ეკონომიკურ სოციალური მდგომარეობა, ეს

ფინანსური დახმარება გარკვეულწილად დაეხმარება მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში.

ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისა დახმარების პროგრამა

(პროგრამული კოდი 06 04)

1.პროგრამის სახელწოდება:

1. ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისა და საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაციის პროგრამა- რომელშიც შედის: ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა . პროგრამის მიზნები:

აღნიშნული პროგრამის მიზანია, მთაში უკუმიგრაციის პროცესის ხელშეწყობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტში საცხოვრებლად დაბრუნებული ან/და მცხოვრები ოჯახების დახმარება, ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა. პროგრამის შინაარსი:

პროგრამა ეხება სტიქიის და ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს. დაზარალებული ოჯახებისთვის დახმარების გაწევა ხდება სოციალური დახმარების გაცემის საბჭოს წევრთა მიერ, ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესწავლის შემდეგ, არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, თანხის რაოდენობის განსაზღვრისას დახმარების გაცემის საბჭოსთან ერთად გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი. მოსალოდნელი შედეგები:

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, უკუმიგრაციის პროცესის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება, აღდგენითი სამუშაოების ჩატარების მიზნით." მუხლი 2 დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე